პასუხისმგებლობა და ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა

- შპს „საქართველოს ფოსტა“ მატერიალურ პასუხისმგებლობას იღებს იმ ზიანზე, რომელიც წარმოიშვება მისი ბრალით სახმელეთო ამანათის დაკარგვის ან ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანებას ან დაკარგვას.
- სახმელეთო ამანათი ითვლება დაკარგულად, თუ აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის მიერ ან თუ სახმელეთო ამანათის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა მისი გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- შპს „საქართველოს ფოსტა“ არ აგებს პასუხს არც ერთი ქვეყნის (საქართველოს, ტრანზიტული და დანიშნულების ქვეყნების) საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული გზავნილების მიმართ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე.
- შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობა ასევე გამოირიცხება:
  - დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში;
  - შემთხვევებში, როცა შპს „საქართველოს ფოსტას“ არ შეუძლია განახორციელოს გზავნილების აღრიცხვა, სამსახურეობრივი დოკუმენტების დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურების გამო;
  - თუ გზავნილის დაკარგვა, მისი შიგთავსის არარსებობა ან დაზიანება გამოწვეულია გამგზავნის ბრალით ან დაუდევრობით (მათ შორის, არასათანადო შეფუთვით) ან შიგთავსის თვისებებით;
  - იმ სახმელეთო ამანათების მიმართ, რომელიც შეიცავს გასაგზავნად აკრძალულ საგნებს;
  - იმ სახმელეთო ამანათების მიმართ, რომლის გაგზავნაც დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებული პირობით ასეთი პირობის დაუცველობის შემთხვევაში;
  - მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო ორგანოების მიერ სახმელეთო ამანათის დაკავების, განადგურების ან მისი კონფისკაციის შემთხვევაში;
  - თუ ანაზღაურების მიღების მიზნით გამგზავნი არაკეთილსინდისიერად მოქმედებს;
  - თუ მომხმარებელმა რეკლამაციით არ მიმართა შპს „საქართველოს ფოსტას“ სახმელეთო ამანათის გაგზავნის დღის მომდევნო დღიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში;
- სახმელეთო ამანათის დაკარგვის, ან მისი გარეგანი დაზიანების შემთხვევაში, თუ ასეთი დაზიანება იწვევს შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანებას ან დაკარგვას, შპს „საქართველოს ფოსტა“ გამგზავნს უნაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:
- სახმელეთო ამანათის დაკარგვის, ან მისი შიგთავსის მთლიანი დაზიანების ან ქურდობის შემთხვევაში - 20 ლარს + 5 ლარი ყოველ კილოგრამზე, მაგრამ საერთო ჯამში არა უმეტეს 170 ლარისა;

- სახმელეთო ამანათის გარეგანი დაზიანების შემთხვევაში, თუ ასეთმა დაზიანებამ გამოიწვია მისი შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანება ან/და ქურდობა - დაზიანებული ან გაქურდული ფასეულობის ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს პუნქტ 9.5.1.-ში აღნიშნული მაქსიმალური ზღვარისა.

- გამგზავნი მატერიალურად პასუხისმგებელია იმ ზარალზე, რომელიც მიადგება შპს „საქართველოს ფოსტას“ აკრძალული ნივთის გაგზავნის ან სახმელეთო ამანათის არასათანადოდ შეფუთვის გამო.
- ქვეყნის დატოვებამდე სახმელეთო ამანათში აკრძალული ნივთის ან მისი არასათანადო შეფუთვის აღმოჩენის შემთხვევაში, ამანათი არ იგზავნება, ხოლო გამგზავნი იხდის პირგასამტეხლოს - სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულების 100%-ის ოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდამდე, გამგზავნს გზავნილი უკან არ უბრუნდება.